ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐ N1

ქ. თეთრიწყარო **2020 წელი**

ერთის მხრივ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის გიორგი ქორიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „Green line" წარმოდგენილი მისი დირექტორის იონა შერაზადიშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შეთანხმების საგანი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლის, მხარეთა შორის 2020 წლის 29 იანვარს გაფორმებული ,,სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" №11 ხელშეკრულების მე-9 მუხლისა და მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის 2020 წლის 10 მარტს N1151 წერილის საფუძველზე შევიდეს შესაბამისი ცვლილებები ამავე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.4. პუნქტში და ,,ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ა) ხელშეკრულების გაფორმებიდან 2020 წლის 26 მარტის ჩათვლით უზრუნველყოს ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევა.

ასევე, ხელშკრულების დანართი დაკორექტირდეს და სოფ. წინწყაროს საჯარო სკოლის ტექნიკურ დავალებაში დამატებული იქნას მეოთხე პუნქტი:

4. სპორტულ დარბაზში გათბობის სისტემის მოწყობა.

2. შეთანხმების მოქმედება

2.1 წინამდებარე შეთანხმება ძალაშია მასზე ხელმოწერის დღიდან.

2.2 შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და მოქმედებს ხელშეკრულებასთან ერთად.

2.3 ხელშეკრულების სხვა პირობები რჩება უცვლელი.

3. მხარეთა რეკვიზიტები

,,შემსყიდველი"	,,მიმწოდებელი"
TETRITSKARO MUNICIPALITY Digitally signed by TETRITSKARO MUNICIPALITY Date: 2020.03.12 15:30:53 +04'00'	
_____	_____
გიორგი ქორიძე	იონა შერაზადიშვილი
მუნიციპალიტეტის მერი	შპს „Green line" -ს დირექტორი